საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N376 2024 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

„ა(ა)იპ – მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლისთვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 ოქტომბრის №1910 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული ზოგიერთი დაწესებულებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „ა(ა)იპ – მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლისთვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 ოქტომბრის №1910 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა(ა)იპ – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტისთვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ (შემდგომში – სამინისტრო) განახორციელოს საჭირო ღონისძიებები და, ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით, 2022 წლის იანვრის თვიდან, ათი წლის განმავლობაში (2022 – 2031 წწ), ა(ა)იპ – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტისთვის (შემდგომში – სასწავლებელი) ყოველწლიურად გამოყოფილ იქნეს 2022-2023 წწ-ში 300.000.00 (სამასი ათასი) ლარი, ხოლო 2024-2031 წწ-ში ყოველწლიურად გამოყოფილ იქნეს 500.000.00 (ხუთასი ათასი) ლარი.“.

2. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები შემდგომი დაწესებულებებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით:

ა) ა(ა)იპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია (ს/ნ: 404439247) – 100,000.00 (ასი ათასი) ლარი;

ბ) სსიპ – გელათის მეცნიერებათა აკადემია (ს/ნ: 212704992) – 199,980.00 (ას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარი;

გ) ა(ა)იპ – ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია (ს/ნ: 218082848) – 350,000.00 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

დ) ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი (ს/ნ: 205233022) – 800,000.00 (რვაასი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**